

შეზღუდული კასუსისგველობის საზოგადოება
ჯეო დისტრიბუშენ გრუპი
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების
მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგებები
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დაუმოკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯგუფ დისტრიბუშენ გრუპი-ს დამფუძნებლებს
კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯგუფ დისტრიბუშენ გრუპი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს ჯგუფ დისტრიბუშენ გრუპი-ს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

კომპანიის ძირითადი მომწოდებელი არის კომპანიის მენეჯმენტთან დაკავშირებული მხარე. სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილის შეძენა ხორციელდება აღნიშნული მომწოდებლისგან, ასევე კომპანიას ძირითად საოპერაციო საქმიანობას ახორციელებს დაკავშირებული მხარისგან იჯარით აღებულ უძრავ ქონებაში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

ვლადიმერ ჩიტაია

5 სექტემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

შპს ჯეო დისტრუბუშენ გრუპი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31/12/2015	31/12/2016	31/12/2017
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	487,687	610,403	917,513
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5	236,228	1,497,790	2,142,035
საექვო მოთხოვნები	5	-	33,829	33,829
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	317,560	5,130,015	3,728,145
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	7	9,129	15,137	70,404
ავანსად გაცემული ხელფასები		59,955	59,983	25,879
გადახდილი ავანსები	8	-	280,289	319,813
გადახდილი გადასახადები		84,121	304,455	-
სხვა აქტივები		13,240	13,805	15,900
ჯამურად მიმდინარე აქტივები		1,207,919	7,945,707	7,253,518
მატერიალური აქტივები	9	3,727,438	3,294,318	3,143,266
არამატერიალური აქტივები		35,919	35,265	30,110
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		3,763,357	3,329,583	3,173,376
სულ აქტივები		4,971,276	11,275,290	10,426,894
ვალდებულებები				
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	10	1,341,354	7,891,888	5,654,449
გადასახდელი პროცენტები		32,340	33,730	35,315
გადასახდელი გადასახადები	11	-	-	279,574
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		1,373,694	7,925,618	5,969,339
გრძელვადიანი სესხი		1,382,068	1,143,427	878,600
ჯამური გრძელვადიანი ვალდებულებები		1,382,068	1,143,427	878,600
სულ ვალდებულებები		2,755,761	9,069,045	6,847,939
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		377,374	377,374	1,374
გაუნაწილებელი მოგება		1,838,140	1,828,870	3,577,580
სულ კაპიტალი		2,215,514	2,206,244	3,578,955
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,971,276	11,275,290	10,426,894

დირექტორი

5 სექტემბერი, 2018
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

5 სექტემბერი, 2018
თბილისი, საქართველო

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	12 თვე, 2016	12 თვე, 2017
შემოსავლები რეალიზაციიდან	12	46,049,304	62,257,399
სხვა საოპერაციო შემოსავალი	13	983,653	784,397
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	12	(39,862,952)	(53,227,358)
მთლიანი მოგება		7,170,004	9,814,437
ხელფასის ხარჯი		(1,081,939)	(1,246,179)
მიწოდების ხარჯი	14	(3,562,163)	(4,670,008)
ადმინისტრაციული ხარჯი	15	(581,677)	(764,008)
ცვეთის ხარჯი		(718,368)	(790,268)
სულ საოპერაციო ხარჯები		(5,944,146)	(7,470,463)
არასაოპერაციო შემოსავალი	16	28,202	86,833
არასაოპერაციო ხარჯი	16	(18,315)	(35,322)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან	17	(99,815)	(22,641)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(89,928)	28,870
მოგება დაბერგვამდე		1,135,930	2,372,844
მოგების გადასახადი		(93,159)	-
წმინდა მოგება		1,042,771	2,372,844
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		1,042,771	2,372,844

დირექტორი

5 სექტემბერი, 2018
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

5 სექტემბერი, 2018
 თბილისი, საქართველო

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი	31/12/2016	31/12/2017
წმინდა მოგება	1,135,930	2,372,844
მოგების გადასახადი	(93,159)	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	1,042,771	2,372,844
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებაში	(1,261,563)	(644,245)
ცვლილებები საექვო მოთხოვნებში	(33,829)	-
ცვლილებები მატერიალურ მარაგებში	(4,812,456)	1,401,870
ცვლილებები მოთხოვნებში ანგ. ვალდებული პირების მიმართ	(6,008)	(55,267)
ცვლილებები ავანსად გაცემულ ხელფასებში	(28)	34,104
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	(280,289)	304,455
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(220,334)	(39,525)
ცვლილებები სხვა აქტივებში	(565)	(2,094)
ცვლილებები მატერიალურ აქტივებში	433,120	151,052
ცვლილებები არამატერიალურ მარაგებში	654	5,155
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	6,550,535	(2,237,439)
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	-	279,574
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	1,390	1,585
ცვლილებები გრძელვადიან სესხებში	(238,641)	(264,827)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,174,757	1,307,243
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
დივიდენდის გაცემა	(1,052,041)	(624,134)
კაპიტალის შემცირება	-	(376,000)
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	122,716	307,109
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	487,687	610,403
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	610,403	917,513

დირექტორი

5 სექტემბერი, 2018
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

5 სექტემბერი, 2018
 თბილისი, საქართველო

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისათვის	377,374	1,838,140	2,215,514
წმინდა მოგება/(ზარალი)		1,135,930	-
დივიდენდის გაცემა		(1,145,200)	-
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	377,374	1,828,870	2,206,244
წმინდა მოგება/(ზარალი)		2,372,844	-
დივიდენდის გაცემა		(624,134)	-
კაპიტალის შემცირება	(376,000)		
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	1,374	3,577,580	3,578,955

დირექტორი

5 სექტემბერი, 2018
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

5 სექტემბერი, 2018
 თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი (შემდგომში "ორგანიზაცია") დაფუძნდა 27/12/2012 წელს მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონი, ლვოვის ქუჩა N11. კომპანიის დამფუძნებლებია : ლევან წიკლაური (პ/ნ 01018003502) – 60% და ნოდარ ჯაფარიძე (პ/ნ 01026010234) – 40%.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქათმის პროდუქციის საცალო და სადისტრიბუციო ქსელით რეალიზაცია.

2. წარდგენის საფუძველი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს ("ზასს") მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა ("ფასს") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის ("ფაისკ") მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები1;
- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (და შესაბამისი განმარტებები)1;
- ფასს 16 - იჯარა2;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები3;
- ფაისკ 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება1;
- ფაისკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება2;
- შესწორებები ფასს 2 - იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით1;
- შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 – აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში4;
- შესწორებები ბასს 40 - საინვესტიციო ქონების გადაცემა1;

- შესწორებები ფასს 4 - `ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები` გამოყენება ფასს 4 "სადაზღვევო კონტრაქტებთან" ერთად1;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით2;
- ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები2;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი1;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი2.

1. ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
2. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
3. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
4. ძალაშია ჯერ არგამოცხადებული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების გამოყენება მომავალში არსებით ზეგავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულებას პლუს, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანახარჯები რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

3.2 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ევროვნულ ვალუტაში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ევროვნულ და უცხო ვალუტაში.

3.3 ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება

ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2016	31 დეკემბერი 2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6468	2.5922
ლარი/1 ევრო	2.6169	3.1044

3.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გაურკვევლი სახის მომსახურება ან მიაწოდა პროდუქცია, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებებ, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

3.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებისა და ნეტო სარიალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

კომპანიის საკუთრებაში არსებული მალფუჭებადი სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენა ხდება გაყიდვების მოცულობიდან გამომდინარე, შესაბამისად მათი ნაშთები პერიოდის ბოლოს არა არსებითია, ისევე როგორც სხვა დაზიანებული მარაგების ნაშთები. იმის გამო რომ აღნიშნული მარაგები არის ხშირად ბრუნვადი და პერიოდის ბოლოს გაფუჭებული და ვადაგასული მარაგების ნაშთები არ რჩებაარ არის გაკეთებული შესაბამისი ანარიცხვები.

3.6 ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს თანხებს, რომლებიც გაწეულია ამ აქტივების შეძენაზე. შემდგომი ხარჯები აისახება აქტივის შესაბამის მუხლებში ან ხდება მათი

აღრიცხვა (აღიარება) ცალკეულ აქტივად იმ შემთხვევაში, თუ ნათელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება შესაძლებელია. აქტივების რემონტისა (შეკეთებისა) და შენახვის ღირებულება აისახება შემოსავლების უწყისში მათი წარმოჩენის პერიოდების მიხედვით.

კომპანიის ბალანსზე არსებული მატერიალური აქტივების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

- | | |
|-----------------------------|---------|
| • შენობა-ნაგებობა | 20 წელი |
| • მანქანა-დანადგარები | 5 წელი |
| • ავტომობილები | 5 წელი |
| • ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა | 5 წელი |

3.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

3.8 კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

3.9 კაპიტალი

კაპიტალი მოიცავს საკუთარ კაპიტალსა და გაუნწილებელ მოგებას.

3.10 დივიდენდის განაწილება

კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილების აღიარება ხდება ვალდებულების სახით, იმ პერიოდში როდესაც დივიდენდს დაამტკიცებს კომპანიის დამფუძნებლები.

3.11 გადასახადები

მიღებული ინფორმაციის შესწავლამ აჩვენა, რომ ორგანიზაციის მიერ საშემოსავლო და დამატებითი ღირებულების გადასახადების გამოანგარიშებისა და დეკლარირების ნაწილში აუდიტირებად პერიოდში ადგილი არ ჰქონდა არსებით უზუსტობებს, დეკლარაციები შევსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის დაცვით და საგადასახდო ინსპექციაში წარდგენილია დროულად.

3.12 შემოსავლები

კომპანიის შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიყიდვის შემდგომ. ფინანსურ ანგარიშგებაში ამონაგები წარმოდგენილია დამატებითი ღირებულების გადასახადის და ფასდათმობის შემდგომი ღირებულებით.

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3.13 ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს საქონლის მიწოდებაზე გაწეულ გადანახრჯებს, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში კლასიფიცირებულია მიწოდების ხარჯად.

4. რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

ა) სავალუტო რისკი

კომპანია ოპერირებს საქართველოს მასშტაბით, ხოლო სარეალიზაციო საქონელს ნაწილი შემენილია უცხო ქვეყნებიდან რომელთან ანგარიშსწორება წარმოებს აშშ-დოლარში. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიას არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში არსებითი თანხის ვალდებულებები, მაგრამ ტრანზაქციების შინაარსი ზრდის თვითღირებულების ხარჯის გაზრდის რისკებს იმ შემთხებაში თუ ეროვნულ ვალუტასთან გაცვლითი კურსი გაიზრდება.

კომპანიის არსებითი თანხობრივი ვალდებულება, რომელიც ფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში არის სასესხო ვალდებულება საბანკო დაწესებულებასთან. გაცვლითი კურსის ზრდის შემთხვევაში კომპანიის ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისში გაზრდილი იქნება მიმდინარე პერიოდის ხარჯი, მაგრამ არსებით გავლენას არ მოახდენს ფინანსურ უწყისებზე.

ბ) საკრედიტო რისკი

კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. კომპანიას გააჩნია პოლიტიკა პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს გაყიდვებს კლიენტებისთვის შესაბამისი საკრედიტო ისტორიით, წინასწარ განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტების ფარგლებში. კომპანიის საკრედიტო რისკი არის დაბალი, ვინაიდან მოთხოვნები წარმოქმნილია მომხმარებლების დიდი ჯგუფისგან. გარდა ამისა, დანერგილი კონტროლები უზრუნველყოფს საკრედიტო მოთხოვნების მინიმალიზაციას პერიოდის ბოლოს და მენეჯმენტი არ ვარაუდობს არსებით ცვლილებებს ამ მიმართულებით.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება. კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაურთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

შენიშვნა 4 - ფული და ფულადი ექვივალენტები	31/12/2016	31/12/2017
ლარი საბანკო ანგარიშებზე	300,394	724,294
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	124,062	17,297
ჯამურად ნაშთები მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	424,456	741,591
ნაღდი ფული სალაროში	185,948	175,921
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	185,948	175,921
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	610,404	917,513

შენიშვნა 5 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31/12/2016	31/12/2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,497,790	2,142,035
საექვო მოთხოვნები	33,829	33,829
სულ მოთხოვნები	1,531,619	2,175,864

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 6 -სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31/12/2016	31/12/2017
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5,056,830	3,658,875
ნედლეული და მასალები	59,722	42,413
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13,463	26,857
სულ მარაგები	5,130,015	3,728,145

შენიშვნა 7 - გადახდილი ავანსები

	31/12/2016	31/12/2017
მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები	280,289	319,813
სულ გადახდილი ავანსები	280,289	319,813

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 8 - მატერიალური აქტვები

	მიწა	შენობა-ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა
საწყისი ღირებულება						
ბალანსი 31/12/2015	20,575	832,772	1,053,003	296,203	2,118,212	2,213
აკუმულირებული ცვეთა	-	(36,478)	(178,289)	(75,021)	(305,691)	(60)
ბალანსი 31/12/2015	20,575	796,293	874,713	221,182	1,812,520	2,153
დანამატები		-	93,785	161,527	64,400	492
აქტივების ჩამოწერა			(2,689)	(41,687)		
პერიოდის ცვეთა		(37,976)	(209,221)	(74,390)	(387,254)	(107)
ბალანსი 31/12/2016	20,575	758,318	756,588	266,632	1,489,667	2,538
დანამატები			37,911	87,182	543,859	22,676
აქტივების ჩამოწერა			(30,281)	(26,138)	(16,064)	
პერიოდის ცვეთა		(37,976)	(206,350)	(94,601)	(430,956)	(314)
ბალანსი 31/12/2017	20,575	720,342	557,868	233,075	1,586,506	24,900
ბალანსი 31/12/2016	20,575	758,318	756,588	266,632	1,489,667	2,538
ბალანსი 31/12/2017	20,575	720,342	557,868	233,075	1,586,506	24,900

შენიშვნა 9 - მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

	31/12/2016	31/12/2017
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	7,891,888	5,654,449
სულ მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	7,891,888	5,654,449

შენიშვნა 10 - გადასახდელი გადასახადები

	31/12/2016	31/12/2017
საშემოსავლო გადასახადი	58896	103,704
გადასახდელი დღგ	(358424)	217,200
ქონების გადასახადი	5525	(4,385)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(10452)	(36,945)
სულ გადასახდელი გადასახადები	(304,455)	279,574

შენიშვნა 11 -შემოსავალი

	31/12/2016	31/12/2017
სადისტრიბუციო ქსელით მიღებული შემოსავალი	18,532,952	31,738,701
საცალო გაყიდვებით მიღებული შემოსავალი	27,579,227	30,542,233
უკან მობრუნება და ფასდათმობა	(62,875)	(23,536)
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(39,862,952)	(53,227,358)
წმინდა შემოსავალი	6,186,351	9,030,040

შენიშვნა 12 -სხვა საოპერაციო შემოსავალი

	31/12/2016	31/12/2017
მარკეტინგული მომსახურება	940,699	660,634
საიჯარო მომსახურება	21,455	61,667
სხვა მომსახურება	22,536	62,360
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი/ ხარჯი	(1,039)	(264)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	983,652	784,397

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 13 - მიწოდების ხარჯი

	31/12/2016	31/12/2017
რეკლამის ხარჯი	178,064	312,120
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	298,462	486,692
ხელფასის ხარჯი	2,009,315	2,314,333
სატრანსპორტო საშუალების რემონტის ხარჯი	68,041	101,795
საწვავის ხარჯი	44,314	164,626
მიწოდების სხვა ხარჯი	55,132	53,522
სამეურნეო ხარჯი	219,847	172,539
კონუნალური მომსახურება	172,589	189,337
საიჯარო მომსახურება	516,398	875,045
სულ მიწოდების ხარჯები	3,562,163	4,670,008

შენიშვნა 14 - ადმინისტრაციული ხარჯი

	31/12/2016	31/12/2017
კომუნალური ხარჯი	5,683	13,414
რემონტის ხარჯი	34,306	61,339
კომუნიკაციის ხარჯი	88,415	99,397
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	12,500	16,981
საბანკო ხარჯი	10,193	19,297
მივლინების ხარჯი	18,123	42,788
ლოჯისტიკის ხარჯი	34,180	71,875
საწვავის ხარჯი	41,339	57,386
სხვა საერთო ხარჯები	336,938	381,531
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	581,677	764,008

შენიშვნა 15 - არა-საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

	31/12/2016	31/12/2017
საპროცენტო შემოსავალი	140,349	128,550
საპროცენტო ხარჯი	(149,713)	(126,448)
სხვა არა-საოპერაციო შემოსავალი	28,202	86,833
სხვა არა-საოპერაციო ხარჯი	(8,952)	(37,424)
არა-საოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	9,887	51,511

შენიშვნა 16 - საკურსო სხვაობა

	31/12/2016	31/12/2017
დადებითი საკურსო სხვაობა	253,828	293,240
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(353,643)	(315,881)
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	(99,815)	(22,641)

შენიშვნა 17 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

კომპანიის ძირითადი მომწოდებელი არის მასთან დაკავშირებული მხარე. საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ კომპანიასთან განხორციელებული ტრანზაქციები არის სხვადასხვა სახის. ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილებში პრუნგები ნაჩვენებია ოპერაციის შინაარსის მიხედვით.

1.1 დაკავშირებული მხარისათვის გაწეული მარკეტინგული მომსახურებით მიღებული შემოსავალი

მარკეტინგული მომსახურება

2017 წელი

870,680. ლარი

1.2 ცხრილში მოცემულია პერიოდის განმავლობაში დაკავშირებული მხარისგან შეზენილი საქონლის და მომსახურების სახეები და შესაბამისი ღირებულება, რომელიც არ შეიცავს თანმდევ დამატებითი ღირებულების გადასახადს:

	2017 წელი
შეძენილი მარაგები	45,991,074
შეძენილი ძირითადი შაულებები	234,441
საიჯარო ხარჯი	155,511
სხვა ხარჯი	154,678

შენიშვნა 14 - სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ორგანიზაციის მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას მიმდინარე პერიოდში სასამართლო დავა აქვს კომპანიასთან საქონლის მიწოდების შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნის გამო, რომელიც არ არის ანაზღაურებული მყიდველის მიერ. აღნიშნული პროცესის შესაბამისად საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული მოთხოვნის ეს ნაწილი კლასიფიცირებულია როგორც საექვო მოთხოვნა.

შენიშვნა 15 - საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

შენიშვნა 16 - ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ კომპანიის მენეჯმენტმა დროებით შეაჩერა საცალო გაყიდვები. აღნიშნული გარემოებები გამოწვეული იქნა მომწოდებლის მიერ დაგეგმილი სანიტარული სამუშაოებით, რის გამოც ის ვეღარ უზრუნველყოფდა ნედლი პროდუქციის მიწოდებას. საცალო გაყიდვები მენეჯმენტმა გააგრძელა ერთი თვის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე. მოცემული ფაქტი არსებითად არ იმოქმედებს კომპანიის გაყიდვების მოცულობაზე.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ჯეო დისტრიბუშენ გრუპი
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების
მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგებები
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დაუმოკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი-ს დამფუძნებლებს
კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯეო დისტრიბუშენ გრუპი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი-ს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

კომპანიის ძირითადი მომწოდებელი არის კომპანიის მენეჯმენტთან დაკავშირებული მხარე. სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილის შეძენა ხორციელდება აღნიშნული მომწოდებლისგან, ასევე კომპანიას ძირითად საოპერაციო საქმიანობას ახორციელებს დაკავშირებული მხარისგან იჯარით აღებულ უძრავ ქონებაში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.



შპს ფინანსური მართვის ჯგუფი
 დოლიძის ქ. № 2
 0177 თბილისი, საქართველო
 ტელ.: (995) (322) 36 33 11
 ფაქსი: (995) (322) 36 33 11
 ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
 2 str. Dolidze
 0177 Tbilisi, Georgia
 Tel.: (995) (322) 36 33 11
 Fax: (995) (322) 36 33 11
 E-mail: info@fmg.ge

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

ვლადიმერ ჩიტაია

5 სექტემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31/12/2015	31/12/2016	31/12/2017
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	487,687	610,403	917,513
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5	236,228	1,497,790	2,142,035
საექვო მოთხოვნები	5	-	33,829	33,829
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	317,560	5,130,015	3,728,145
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	7	9,129	15,137	70,404
ავანსად გაცემული ხელფასები		59,955	59,983	25,879
გადახდილი ავანსები	8	-	280,289	319,813
გადახდილი გადასახადები		84,121	304,455	-
სხვა აქტივები		13,240	13,805	15,900
ჯამურად მიმდინარე აქტივები		1,207,919	7,945,707	7,253,518
მატერიალური აქტივები	9	3,727,438	3,294,318	3,143,266
არამატერიალური აქტივები		35,919	35,265	30,110
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		3,763,357	3,329,583	3,173,376
სულ აქტივები		4,971,276	11,275,290	10,426,894
ვალდებულებები				
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	10	1,341,354	7,891,888	5,654,449
გადასახდელი პროცენტები		32,340	33,730	35,315
გადასახდელი გადასახადები	11	-	-	279,574
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		1,373,694	7,925,618	5,969,339
გრძელვადიანი სესხი		1,382,068	1,143,427	878,600
ჯამური გრძელვადიანი ვალდებულებები		1,382,068	1,143,427	878,600
სულ ვალდებულებები		2,755,761	9,069,045	6,847,939
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		377,374	377,374	1,374
გაუნაწილებელი მოგება		1,838,140	1,828,870	3,577,580
სულ კაპიტალი		2,215,514	2,206,244	3,578,955
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,971,276	11,275,290	10,426,894

დირექტორი

5 სექტემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

5 სექტემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	12 თვე, 2016	12 თვე, 2017
შემოსავლები რეალიზაციიდან	12	46,049,304	62,257,399
სხვა საოპერაციო შემოსავალი	13	983,653	784,397
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	12	(39,862,952)	(53,227,358)
მთლიანი მოგება		7,170,004	9,814,437
ხელფასის ხარჯი		(1,081,939)	(1,246,179)
მიწოდების ხარჯი	14	(3,562,163)	(4,670,008)
ადმინისტრაციული ხარჯი	15	(581,677)	(764,008)
ცვთის ხარჯი		(718,368)	(790,268)
სულ საოპერაციო ხარჯები		(5,944,146)	(7,470,463)
არასაოპერაციო შემოსავალი	16	28,202	86,833
არასაოპერაციო ხარჯი	16	(18,315)	(35,322)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან	17	(99,815)	(22,641)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(89,928)	28,870
მოგება დაბერგვამდე		1,135,930	2,372,844
მოგების გადასახადი		(93,159)	-
წმინდა მოგება		1,042,771	2,372,844
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		1,042,771	2,372,844

დირექტორი

5 სექტემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

მთავარი ზუღალტერი

5 სექტემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი	31/12/2016	31/12/2017
წმინდა მოგება	1,135,930	2,372,844
მოგების გადასახადი	(93,159)	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	1,042,771	2,372,844
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებაში	(1,261,563)	(644,245)
ცვლილებები საექვო მოთხოვნებში	(33,829)	-
ცვლილებები მატერიალურ მარაგებში	(4,812,456)	1,401,870
ცვლილებები მოთხოვნებში ანგ. ვალდებული პირების მიმართ	(6,008)	(55,267)
ცვლილებები ავანსად გაცემულ ხელფასებში	(28)	34,104
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	(280,289)	304,455
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(220,334)	(39,525)
ცვლილებები სხვა აქტივებში	(565)	(2,094)
ცვლილებები მატერიალურ აქტივებში	433,120	151,052
ცვლილებები არამატერიალურ მარაგებში	654	5,155
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	6,550,535	(2,237,439)
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	-	279,574
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	1,390	1,585
ცვლილებები გრძელვადიან სესხებში	(238,641)	(264,827)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,174,757	1,307,243
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
დივიდენდის გაცემა	(1,052,041)	(624,134)
კაპიტალის შემცირება	-	(376,000)
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	122,716	307,109
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	487,687	610,403
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	610,403	917,513


 დირექტორი
 5 სექტემბერი, 2018
 თბილისი, საქართველო


 მთავარი ბუღალტერი
 5 სექტემბერი, 2018
 თბილისი, საქართველო

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისათვის	377,374	1,838,140	2,215,514
წმინდა მოგება/(ზარალი)		1,135,930	-
დივიდენდის გაცემა		(1,145,200)	-
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	377,374	1,828,870	2,206,244
წმინდა მოგება/(ზარალი)		2,372,844	-
დივიდენდის გაცემა		(624,134)	-
კაპიტალის შემცირება	(376,000)		
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	1,374	3,577,580	3,578,955


 დირექტორი
 5 სექტემბერი, 2018
 თბილისი, საქართველო


 მთავარი ბუღალტერი
 5 სექტემბერი, 2018
 თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპის მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპის მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ განმარტებებს, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება კომპანიის განვითარების გეგმებს, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ მდგომარეობას და შედეგებს, შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობებს და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ფინანსური მართვის ჯგუფი

გარიგების პარტნიორი

2018 წელი, თბილისი, საქართველო



შპს ჯეო დისტრიბუშენ ჯგუფი-ს
2017 წლის მმართველობითი ანგარიშგება

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი (შემდგომში "ორგანიზაცია") დაფუძნდა 27/12/2012 წელს. კომპანიის დამფუძნებლებია : ლევან წიკლაური (პ/ნ 01018003502) – 60% და ნოდარ ჯაფარიძე (პ/ნ 01026010234) – 40%, კომპანიის დირექტორი და გადაწყვეტილებების მიმღები პირი არის ლევან წიკლაური.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქათმის პროდუქციის საცალო და სადისტრიბუციო ქსელით რეალიზაცია.

კომპანიის ძირითადი მიმდინარე გეგმები და მიზნები მიმართულია ქვეყნის ტერიტორიაზე ბაზრის სრული ათვისებისკენ, რაც გულისხმობს ადგილობრივი წარმოების ქათმის ხორც-პროდუქტებით, როგორც გაყინული ასევე ნედლით იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებას და ბაზრის მნიშვნელოვანი წილის დაკავებას. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა აჭარის რეგიონზე რითიც დასრულდება ქვეყნის ძირითადი ტერიტორიის ათვისება.

გარდა ადგილობრივი წარმოების პროდუქციის რეალიზებისა რასაც შემოსავლების მნიშვნელოვანი წილი უკავია, კომპანია გეგმავს დამატებითი საბრუნავი კაპიტალის მოზიდვით გააფართოვოს ასორტიმენტი და გაზარდოს მოქმედების არეალი რათა უფრო მეტად კონკურენტუნარიანი გახდეს სხვა სადისტრიბუციო კომპანიებთან შედარებით. ასევე იგეგმება სამაცივრე მეურნეობის გაფართოვება იმისათვის რომ მოხდეს გაზრდილი მარაგების საკუთარი რესურსებით შენახვა.

დამატებით სამომავლო გეგმებში განიხილება ასევე პროდუქციის ექსპორტზე გატანა.

კომპანიის ფილიალებად შეიძლება განვიხილოთ იმერეთის და აჭარის რეგიონები საიდანაც ხდება დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის პროდუქციით მომარაგება.

იმერეთის ფილიალის წილი შეადგენს მთლიანი გაყიდვების 11%. გაიხსნა 2016 წლის აპრილში.

აჭარის ფილიალის წილი შეადგენს მთლიანი გაყიდვების 6%. თუმცა აჭარის ფილიალი გაიხსნა 2017 წლის ოქტომბერში და ნედლი პროდუქციით მომარაგება ჯერ არ დაწყებულია.

2017 წლის გაყიდვები სეგმენტების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

	ლარი	%
სადისტრიბუციო ვაჭრობა	31,738,701	51
საცალო ვაჭრობა	30,542,233	49
სულ	62,280,934	100

კომპანია მუდმივ რეჟიმში ანხორციელებს ბაზრის შიდა კვლევებს. ბაზარზე არსებული იმპორტირებული პროდუქტების, ფასების და რაოდენობების ანალიზს რათა შემდგომ უფრო ეფექტურად მოხდეს ადგილობრივი პროდუქციის პოზიციონირება და საფასო პოლიტიკის დაგეგმვა. ეს არის კვლევების ძირითადი მიმართულება რასაც კომპანია უთმობს საკუთარი რესურსის საკმაოდ დიდი ნაწილს.

კომპანია ბაზარზე სარგებლობს საკმაოდ მყარი რეპუტაციით, გამომდინარე იქიდან რომ ვაჭრობს ქართული წარმოების მაღალი ხარისხის ქათმის ხორც-პროდუქტების „ბიუ-ბიუ“-ს ბრენდითეს არის პირველი მასშტაბური, ვერტიკალურად ინტეგრირებული, საერთაშორისო სტანდარტებით შექმნილი ქართული საწარმო, რომელიც ბოლომდე ორიენტირებულია ხარისხიანი პროდუქციის წარმოებაზე. სწორედ პროდუქციის ხარისხიდან გამომდინარეობს ბრენდის სიძლიერე, რის შედეგადაც კომპანიამ მარტივად შეძლო ყოველგვარი მარკეტინგული აქტივობების გარეშე მომხმარებლისთვის გაეცნო და ბაზარზე საკუთარი ადგილი დაეკავებინა დროის საკმაოდ მოკლე პერიოდში. გარდა სადისტრიბუციო საქმიანობისა კომპანიას გააჩნია საკუთარი 60 სავაჭრო ობიექტი საიდანაც ხდება ქათმის წვნილი ხორცპროდუქტების რეალიზაცია. ეს არის ამ სფეროში ინოვაციური და უკონკურენტო მიმართულება, რაც საშუალებას იძლევა უშუალო კონტაქტი იქონიო პირდაპირ მომხმარებლებთან და კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ბრენდის გაძლიერება განვითარებას.

ჩვენი მომხმარებლები არიან როგორც სავაჭრო ქსელები, უბნის მაღაზიები, რესტორნები, კაფეები, სასტუმროები, საბავშვო ბაღები ასევე ჩვეულებრივი მოქალაქეები რომლებიც საკმაოდ მაღალი ლოიალურობით გამოირჩევიან ჩვენი პროდუქციის მიმართ. ეს ყოველივე განპირობებულია კომპანიის მიერ შეთავაზებული მაღალი ხარისხის პროდუქციით და მომსახურებით. სავაჭრო ობიექტები ყოველდღიურად საშუალოდ 13,000 მომხმარებელს ემსახურება.

კომპანიაში დასაქმებულია საშუალოდ 300 ადამიანი, რომელთაგან ნახევარი ყოველდღიურ კონტაქტში იმყოფება პირდაპირ მომხმარებელთან. ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა ამ ადამიანების სწავლებას, გადამზადებას, მომსახურების ტრენინგებს, ვიზუალურ მხარეს და ა.შ. ეს არის მნიშვნელოვანი ნაწილი ბრენდის განვითარებისთვის და მომხმარებლების ინფორმირებისთვის. კომპანიაში არსებობენ ადამიანები ვინც კონკრეტულად საცალო ვაჭრობის მიმართულების განვითარებაზე და გაფართოებაზე არიან პასუხისმგებელნი, გამომდინარე იქიდან რომ ეს სეგმენტი საკმაოდ მნიშვნელოვანია კომპანიის და ბრენდის არსებობაში.

გარდა ადგილობრივი წარმოების პროდუქციისა კომპანიას გააჩნია საკუთარი ბრენდის ქვეშ შექმნილი იმპორტირებული პროდუქტები რომლითაც ასევე ვაჭრობს სადისტრიბუციო და საცალო ქსელში. ეს პროდუქტებიც ანალოგიური წარმეტებით სარგებლობენ ქართულ ბაზარზე და ჯერ ჯერობით თავიანთ სეგმენტში იმპორტირებული ბაზრის 20-25 პროცენტი უკავიათ.

სუბიექტის პოზიცია ბაზარზე არის მყარი და ზრდადი, რასაც ადასტურებს სტატისტიკური ინფორმაცია როცა საქმიანობის დაწყებისას კომპანია ყიდდა 200 ტონა პროდუქციას ხოლო მიმდინარე პერიოდის რეალიზაცია 1,200 ტონას ცდება. ასევე პარალელურად მოხდა იმპორტირებული ბაზრის შევიწროვება რადგანაც მომხმარებელს გამოუჩნდა უკეთესი ალტერნატივა შეეძინა ხარისხიანი, ახალი და გაუყინავი პროდუქცია ბაზარზე მისაღებ ფასად.

საქართველოში საკვები პროდუქციის ხარისხის არეგულირებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი და ასევე სხვა მარეგულირებელი აქტები. კოდექსი განსაზღვრავს სურსათის უვნებლობის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს, სურსათის მიკვლევადობასთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებს დისტრიბუციისას, ბიზნესოპერატორის ვალდებულებებს, სურსათის ექსპორტისა და იმპორტის მოთხოვნებს, კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის შესაბამის პასუხისმგებლობას.

ჩვენ სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სრულად ვასრულებთ კანონის მოთხოვნებს, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სურსათის ეროვნული სააგენტოსთან, რომელიც არის ჩვენი საქმიანობის სფეროს ძირითადი მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანო.

ძირითად რისკად შეიძლება ჩაითვალოს სუბიექტის დამოკიდებულება ერთი ადგილობრივი საწარმოს პროდუქციაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ დაარსების დღიდან დღემდე კომპანიამ მნიშვნელოვნად გააფართოვა შემოსავლის მიღების საშუალება, როგორც ასორტიმენტი ასევე გასაღების არეალი. ასორტიმენტი მოიცავს როგორც ადგილობრივი წარმოების ქათმის ხორცპროდუქტებს გაყინულის და ნედლის სახით, ასევე იმპორტირებული პროდუქციის ნაირსახეობებს. ასევე მნიშვნელოვანია ისიც რომ სხვა სადისტრიბუციო კომპანიებისგან განსხვავებით სუბიექტი მუშაობს ორი მიმართულებით, როგორც საბითუმო ასევე საცალო. გააჩნია გასაღების საკუთარი 61 ობიექტი ქვეყნის მაშტაბით, რომლებიც ნებისმიერი საკვები პროდუქციის რეალიზაციის საშუალებას იძლევა. ასევე შესაძლებელია ამ ობიექტების ქვეიჯარით გაცემა და ალტერნატიული შემოსავლის მიღება.

ერთერთი საწარმო ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი რისკი შეიძლება იყოს ფრინველის ვირუსული გრიპი რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას საწარმოს და შემდგომ სუბიექტის უახლოეს გეგმებს. თუმცა საწარმოში მიმდინარე სანიტარული ნორმების დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებით მართვა მინიმუმამდე ამცირებს ამ რისკს. საწარმოს ციკლის თითოეული პროცესი მნიშვნელოვნად კონტროლდება და ნებისმიერი რისკის პრევენციისთვის მაქსიმალური ზომები მიიღება.

რისკად შეიძლება ჩაითვალოს დაბალფასიანი იმპორტირებული პროდუქციის შემოსვლა ბაზარზე. ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობის გამო ბაზარი ძალიან სენსიტიურია ფასის მიმართ. მომხმარებელი გადაწყვეტილებას იღებს ფასიდან და არა ხარისხიდან გამომდინარე, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადგილობრივი წარმოების განვითარებას. თუმცა 2018 წლის აგვისტოდან ძალაში შედის ახალი დადგენილება რომელიც დაარეგულირებს შეუფუთავი ქათმის ხორცპროდუქტების შემოტანას და ეტიკეტირებას რაც ავტომატურად გამოიწვევს პროდუქციის გაძვირებას. იმპორტიორები იძულებული იქნებიან დამატებითი ხარჯი გაიღონ პროდუქციის შესაფუთად და ეტიკეტირებისთვის, რათა მომხმარებელს გაუადვილდეს ბრენდის იდენტიფიცირება და მეტად ინფორმირებული იყოს პროდუქციის წარმომადგენლობის შესახებ. ეს კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოების განვითარებას სამართლიან კონკურენტულ გარემოში.

შპს ჯეო დისტრიბუშენ ჯგუფი-ს

დირექტორი ლევან წიკლაური



დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპის მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპის მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ განმარტებებს, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება კომპანიის განვითარების გეგმებს, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ მდგომარეობას და შედეგებს, შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობებს და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ფინანსური მართვის ჯგუფი

მმართველი პარტნიორი

2018 წელი, თბილისი, საქართველო

შპს ჯეო დისტრიბუშენ ჯგუფი-ს
2017 წლის მმართველობითი ანგარიშგება

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი (შემდგომში "ორგანიზაცია") დაფუძნდა 27/12/2012 წელს. კომპანიის დამფუძნებლებია : ლევან წიკლაური (პ/ნ 01018003502) – 60% და ნოდარ ჯაფარიძე (პ/ნ 01026010234) – 40%. კომპანიის დირექტორი და გადაწყვეტილებების მიმღები პირი არის ლევან წიკლაური.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქათმის პროდუქციის საცალო და სადისტრიბუციო ქსელით რეალიზაცია.

კომპანიის ძირითადი მიმდინარე გეგმები და მიზნები მიმართულია ქვეყნის ტერიტორიაზე ბაზრის სრული ათვისებისკენ, რაც გულისხმობს ადგილობრივი წარმოების ქათმის ხორც-პროდუქტებით, როგორც გაყინული ასევე ნედლით იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებას და ბაზრის მნიშვნელოვანი წილის დაკავებას. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა აჭარის რეგიონზე რითიც დასრულდება ქვეყნის ძირითადი ტერიტორიის ათვისება.

გარდა ადგილობრივი წარმოების პროდუქციის რეალიზებისა რასაც შემოსავლების მნიშვნელოვანი წილი უკავია, კომპანია გეგმავს დამატებითი საბრუნავი კაპიტალის მოზიდვით გააფართოვოს ასორტიმენტი და გაზარდოს მოქმედების არეალი რათა უფრო მეტად კონკურენტუნარიანი გახდეს სხვა სადისტრიბუციო კომპანიებთან შედარებით. ასევე იგეგმება სამაცივრე მეურნეობის გაფართოვება იმისათვის რომ მოხდეს გაზრდილი მარაგების საკუთარი რესურსებით შენახვა.

დამატებით სამომავლო გეგმებში განიხილება ასევე პროდუქციის ექსპორტზე გატანა.

კომპანიის ფილიალებად შეიძლება განვიხილოთ იმერეთის და აჭარის რეგიონები საიდანაც ხდება დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის პროდუქციით მომარაგება.

იმერეთის ფილიალის წილი შეადგენს მთლიანი გაყიდვების 11%. გაიხსნა 2016 წლის აპრილში.

აჭარის ფილიალის წილი შეადგენს მთლიანი გაყიდვების 6%. თუმცა აჭარის ფილიალი გაიხსნა 2017 წლის ოქტომბერში და ნედლი პროდუქციით მომარაგება ჯერ არ დაწყებულა.

2017 წლის გაყიდვები სეგმენტების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

	ლარი	%
სადისტრიბუციო ვაჭრობა	31,738,701	51
საცალო ვაჭრობა	30,542,233	49
სულ	62,280,934	100

კომპანია მუდმივ რეჟიმში ანხორციელებს ბაზრის შიდა კვლევებს. ბაზარზე არსებული იმპორტირებული პროდუქტების, ფასების და რაოდენობების ანალიზს რათა შემდგომ უფრო ეფექტურად მოხდეს ადგილობრივი პროდუქციის პოზიციონირება და საფასო პოლიტიკის დაგეგმვა. ეს არის კვლევების ძირითადი მიმართულება რასაც კომპანია უთმობს საკუთარი რესურსის საკმაოდ დიდი ნაწილს.

კომპანია ბაზარზე სარგებლობს საკმაოდ მყარი რეპუტაციით, გამომდინარე იქიდან რომ ვაჭრობს ქართული წარმოების მაღალი ხარისხის ქათმის ხორც-პროდუქტების „ბიუ-ბიუ“-ს ბრენდითეს არის პირველი მასშტაბური, ვერტიკალურად ინტეგრირებული, საერთაშორისო სტანდარტებით შექმნილი ქართული საწარმო, რომელიც ბოლომდე ორიენტირებულია ხარისხიანი პროდუქციის წარმოებაზე. სწორედ პროდუქციის ხარისხიდან გამომდინარეობს ბრენდის სიძლიერე, რის შედეგადაც კომპანიამ მარტივად შეძლო ყოველგვარი მარკეტინგული აქტივობების გარეშე მომხმარებლისთვის გაეცნო და ბაზარზე საკუთარი ადგილი დაეკავებინა დროის საკმაოდ მოკლე პერიოდში. გარდა სადისტრიბუციო საქმიანობისა კომპანიას გააჩნია საკუთარი 60 სავაჭრო ობიექტი საიდანაც ხდება ქათმის ნედლი ხორცპროდუქტების რეალიზაცია. ეს არის ამ სფეროში ინოვაციური და უკონკურენტო მიმართულება, რაც საშუალებას იძლევა უშუალო კონტაქტი იქონიო პირდაპირ მომხმარებლებთან და კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ბრენდის გაძლიერება განვითარებას.

ჩვენი მომხმარებლები არიან როგორც სავაჭრო ქსელები, უბნის მაღაზიები, რესტორნები, კაფეები, სასტუმროები, საბავშვო ბაღები ასევე ჩვეულებრივი მოქალაქეები რომლებიც საკმაოდ მაღალი ლოიალურობით გამოირჩევიან ჩვენი პროდუქციის მიმართ. ეს ყოველივე განპირობებულია კომპანიის მიერ შეთავაზებული მაღალი ხარისხის პროდუქციით და მომსახურებით. სავაჭრო ობიექტები ყოველდღიურად საშუალოდ 13,000 მომხმარებელს ემსახურება.

კომპანიაში დასაქმებულია საშუალოდ 300 ადამიანი, რომელთაგან ნახევარი ყოველდღიურ კონტაქტშია იმყოფება პირდაპირ მომხმარებელთან. ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა ამ ადამიანების სწავლებას, გადამზადებას, მომსახურების ტრენინგებს, ვიზუალურ მხარეს და ა.შ. ეს არის მნიშვნელოვანი ნაწილი ბრენდის განვითარებისთვის და მომხმარებლების ინფორმირებისთვის. კომპანიაში არსებობენ ადამიანები ვინც კონკრეტულად საცალო ვაჭრობის მიმართულების განვითარებაზე და გაფართოვებაზე არიან პასუხისმგებელნი, გამომდინარე იქედან რომ ეს სეგმენტი საკმაოდ მნიშვნელოვანია კომპანიის და ბრენდის არსებობაში.

გარდა ადგილობრივი წარმოების პროდუქციისა კომპანიას გააჩნია საკუთარი ბრენდის ქვეშ შექმნილი იმპორტირებული პროდუქტები რომლითაც ასევე ვაჭრობს სადისტრიბუციო და საცალო ქსელში. ეს პროდუქტებიც ანალოგიური წარმეტებით სარგებლობენ ქართულ ბაზარზე და ჯერ ჯეროებით თავიანთ სეგმენტში იმპორტირებული ბაზრის 20-25 პროცენტი უკავიათ.

სუბიექტის პოზიცია ბაზარზე არის მყარი და ზრდადი, რასაც ადასტურებს სტატისტიკური ინფორმაცია როცა საქმიანობის დაწყებისას კომპანია ყიდდა 200 ტონა პროდუქციას ხოლო მიმდინარე პერიოდის რეალიზაცია 1,200 ტონას ცდება. ასევე პარალელურად მოხდა იმპორტირებული ბაზრის შევიწროვება რადგანაც მომხმარებელს გამოუჩნდა უკეთესი ალტერნატივა შეეძინა ხარისხიანი, ახალი და გაუყინავი პროდუქცია ბაზარზე მისაღებ ფასად.

საქართველოში საკვები პროდუქციის ხარისხის არეგულირებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი და ასევე სხვა მარეგულირებელი აქტები. კოდექსი განსაზღვრავს სურსათის უვნებლობის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს, სურსათის მიკვლევადობასთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებს დისტრიბუციისას, ბიზნესოპერატორის ვალდებულებებს, სურსათის ექსპორტისა და იმპორტის მოთხოვნებს, კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის შესაბამის პასუხისმგებლობას.

ჩვენ სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სრულად ვასრულებთ კანონის მოთხოვნებს, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სურსათის ეროვნული სააგენტოსთან, რომელიც არის ჩვენი საქმიანობის სფეროს ძირითადი მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანო.

ძირითად რისკად შეიძლება ჩაითვალოს სუბიექტის დამოკიდებულება ერთი ადგილობრივი საწარმოს პროდუქციაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ დაარსების დღიდან დღემდე კომპანიამ მნიშვნელოვნად გააფართოვა შემოსავლის მიღების საშუალება, როგორც ასორტიმენტი ასევე გასაღების არეალი. ასორტიმენტი მოიცავს როგორც ადგილობრივი წარმოების ქათმის ხორცპროდუქტებს გაყინულის და ნედლის სახით, ასევე იმპორტირებული პროდუქციის ნაირსახეობებს. ასევე მნიშვნელოვანია ისიც რომ სხვა სადისტრიბუციო კომპანიებისგან განსხვავებით სუბიექტი მუშაობს ორი მიმართულებით, როგორც საბითუმო ასევე საცალო. გააჩნია გასაღების საკუთარი 61 ობიექტი ქვეყნის მაშტაბით, რომლებიც ნებისმიერი საკვები პროდუქციის რეალიზაციის საშუალებას იძლევა. ასევე შესაძლებელია ამ ობიექტების ქვეიჯარით გაცემა და ალტერნატიული შემოსავლის მიღება.

ერთერთი საწარმო ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი რისკი შეიძლება იყოს ფრინველის ვირუსული გრიპი რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას საწარმოს და შემდგომ სუბიექტის უახლოეს გეგმებს. თუმცა საწარმოში მიმდინარე სანიტარული ნორმების დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებით მართვა მინიმუმამდე ამცირებს ამ რისკს. საწარმოს ციკლის თითოეული პროცესი მნიშვნელოვნად კონტროლდება და ნებისმიერი რისკის პრევენციისთვის მაქსიმალური ზომები მიიღება.

რისკად შეიძლება ჩაითვალოს დაბალფასიანი იმპორტირებული პროდუქციის შემოსვლა ბაზარზე. ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობის გამო ბაზარი ძალიან სენსიტიურია ფასის მიმართ. მომხმარებელი გადაწყვეტილებას იღებს ფასიდან და არა ხარისხიდან გამომდინარე, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადგილობრივი წარმოების განვითარებას. თუმცა 2018 წლის აგვისტოდან ძალაში შედის ახალი დადგენილება რომელიც დაარეგულირებს შეუფუთავი ქათმის ხორცპროდუქტების შემოტანას და ეტიკეტირებას რაც ავტომატურად გამოიწვევს პროდუქციის გაძვირებას. იმპორტიორები იძულებული იქნებიან დამატებითი ხარჯი გაიღონ პროდუქციის შესაფუთად და ეტიკეტირებისთვის, რათა მომხმარებელს გაუადვილდეს ბრენდის იდენტიფიცირება და მეტად ინფორმირებული იყოს პროდუქციის წარმომავლობის შესახებ. ეს კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოების განვითარებას სამართლიან კონკურენტულ გარემოში.

შპს ჯეო დისტრიბუშენ ჯგუფი-ს

დირექტორი ლევან წიკლაური